

Free ARCHITECTS®

შპს თავისუფაღი არქიტექტორები
405045080

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქვედა გუდაური 1
განაშენიანების რეგულირების გეგმა
(II გეგმარებითი არეალი. პროექტი)

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის მე-2 გეგმარებითი არეალის განაშენიანების რეგულირების გეგმების პროექტს, ტექსტური და გრაფიკული ნაწილებით. დოკუმენტი შემუშავებულია წინასაპროექტო კვლევისა და გეგმარებითი დავალების საფუძველზე, და წარმოადგენს სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სისტემის¹ ოპერატიულ ნაწილს.

დოკუმენტი შემუშავებულია საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში. მისი დანიშნულებაა, დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის განვითარების შესახებ: ერთის მხრივ ის ასახავს განვითარების ხედვას (სხვადასხვა სცენარით) და მისი მიღწევის სტრატეგიას, და მეორეს მხრივ ის წარმოადგენს განვითარების მართვის სამართლებრივ საფუძველს.

მოკლედ პროექტის შესახებ:

ხელშეკრულება:

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N187, 24.05.2017 წ (კლასიფიკატორის კოდი CPV-71400000)

შემსყიდველი:

შპს „მთის კურორტების კომპანია“ (215096367)

მიმწოდებელი:

შპს „თავისუფალი არქიტექტორები“ (405045080)

მიმწოდებლის

კონტრაქტორ(ები):

ჩართული მხარეები:

- მთავრობა;

- სამინისტრო;

- კომპანია.

- მუნიციპალიტეტები;

- კერძო სქეტორის წარმომადგენელები

დაინტერესებული
უწყებები/პირები



© თავისუფალი არქიტექტორები,
თბილისი, 2017

პოზიცია

დირექტორი:

პროექტის ხელმძღვანელი:

სახელი-გვარი

გუგა დათუკიშვილი

ვახტანგ ჯოხაძე

ხელმოწერა

[Handwritten signatures]
Free ARCHITECTS®
N187-045080

¹ სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვა ხორციელდება განაშენიანების რეგულირების წესებისა და მიწათსარგებლობის უფლებრივი ზონირების პრინციპზე დამყარებული მიწათსარგებლობის დაგეგმვის დოკუმენტაციის ორსაფეხურიანი სისტემით: მგბ, გრბ.



საქათვეო
მთის კურორტების
განვითარების კომპანია

Free ARCHITECTS®

შპს თავისუფალი არქიტექტორები
405045080

ბერი გამრილ სალონის გამზ, VI შესაცეკვი, N1
თბილისი, საქათველო
freearchitects.co@gmail.com

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის II გეგმარებითი არეალის (ქვედა გუდაური 1)

განაშენიანების რეგულირების გეგმა
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დუშეთის მუნიციპალიტეტი

დამტკიცებულია:
საქართველოს მთავრობის მიერ
დადგენილება N _____
_____ 2018 წ

ს ა პ რ ო ე ქ ტ ო ჯ გ უ ფ ი :

სახელი გვარი	პოზიცია	სპეციალიზაცია	სტატუსი
ვახტანგ ჯონაძე	პროექტის ხელმძღვანელი	არქიტექტორი, სივრცითი მოწყობის და სამშენებლო სამართლის სპეციალისტი	წევრი
გიორგი დათუკიშვილი	მგეგმარებელი	არქიტექტორი, ურბანული დაგეგმარების სპეციალისტი	წევრი
დავით სვანაძე	გის რედაქტორი, კარტოგრაფი	გეოგრაფია, გეოსაინფორმაციო სისტემები	წევრი
სოფიო ჩხაიძე	ურბანული ადაპტაციის სპეციალისტი და CAD ტექნიკოსი	არქიტექტორი, რესტავრაცია-რევიტალიზაციის დაგეგმარების სპეციალისტი	წევრი
ქეთი ჯაფარიძე	პროექტის ადმინისტრატორი, CAD ტექნიკოსი	არქიტექტორი, მოცულობითი დაგეგმარების სპეციალისტი	მოწვევული
მარიამ აბაშიძე	მგეგმარებელი და CAD ტექნიკოსი	არქიტექტორი, ურბანული მართვის და დაგეგმარების სპეციალისტი	მოწვევული
ირაკლი დათუკიშვილი	3D სკანირების ტექნიკოსი	არქიტექტორი (სტუდენტი)	მოწვევული
დავით ჯონაძე	3D გრაფიკოსი	კომპ. გრაფიკის სპეციალისტი, ანალიტიკოსი, სტატისტიკოსი	მოწვევული
ნინა ოსტაპენკო	3D გრაფიკოსი	კომპ. გრაფიკის სპეციალისტი	მოწვევული
ვაჟა ტრაპაიძე	კონსულტანტი	პიდროლობგა, გეომორფოლოგია	მოწვევული
გიორგი გაფრინდაშვილი	კონსულტანტი	გეოლოგია, სეისმიკა, კლიმატი	მოწვევული

დ ა გ ე გ მ ვ ა ს ა დ ა დ ა გ ე გ მ ა რ ე ბ ა ზ ე მ უ შ ა ო ბ დ ნ ე ნ :

სპეციალისტი	როლი	ნაწილი
ვახტანგ ჯონაძე	პროექტის დაგეგმვა და მართვა	განვითარების დაგეგმვა, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება, მართვის სისტემის ფორმირება
გიორგი დათუკიშვილი	დაგეგმარება და CAD უზრუნველყოფა	განვითარების დაგეგმვა, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება
ქეთი ჯაფარიძე	სამუშაოების მონიტორინგი, დაგეგმარება და CAD უზრუნველყოფა	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება
დავით სვანაძე	გის უზრუნველყოფა	გრაფიკული ნაწილის მონაცემთა რედაქტირება და კარტოგრაფია
ნინა ოსტაპენკო	3D უზრუნველყოფა	3D ესკიზური მოდელირება და ვიზუალიზება

წ ი ნ ა მ დ ე ბ ა რ ე დ ო კ უ მ ე ნ ტ ზ ე მ უ შ ა ო ბ დ ნ ე ნ :

სპეციალისტი	როლი	ნაწილი
ვახტანგ ჯონაძე	მთავარი რედაქტორი	ტექსტური და CAD გრაფიკული ნაწილი
გიორგი დათუკიშვილი	რედაქტორი	ტექსტური და CAD გრაფიკული ნაწილი
ქეთი ჯაფარიძე	რედაქტორი	ტექსტური და CAD გრაფიკული ნაწილი
დავით სვანაძე	რედაქტორი	GIS გრაფიკული ნაწილი
ნინა ოსტაპენკო	რედაქტორი	3D გრაფიკული ნაწილი



საქართველოს
მთის კურორტების
განვითარების კომისია

Free ARCHITECTS®

შპს თავისუფადი ანქიტექტორები

405045080

ბერი გამრილ სალონის გამზ, VI შესაცეკვი, N1
თბილისი, საქართველო
freearchitects.co@gmail.com

დოკუმენტის შემადგენლობა

გუდაურის სარკვეულობის ორგანიზატორის II გეგმარებითი არეალის განაშენიანების რეგულირების გეგმა	2
ტექსტური ნაწილი	5
I. აღწერა	6
1. ძირითადი ცნებები-ტერმინები და შემოკლებები	6
1.1. გამოყენებული შემოკლებები.....	7
2. ტექსტური და გრაფიკული აღნიშვნების გაშიფვრა.....	9
2.1. ტექსტური აღნიშვნები.....	9
2.2. გრაფიკული აღნიშვნები.....	10
3. ილუსტრაციების ნუსხა	11
3.1. ტექსტური ნაწილში გამოყენებული ილუსტრაციები	11
3.2. გრაფიკულ ნაწილში გამოყენებული ილუსტრაციები.....	11
II. განმარტებითი ბარათი	12
4. დაგეგმვის წინაპირობები.....	13
4.1. სამართლებრივი საფუძვლები და წინაპირობები.....	13
4.2. სახელმძღვანელო დოკუმენტები:.....	14
4.3. დაგეგმვის მიზანი და ამოცანები.....	15
4.4. დაგეგმვის პრინციპები და პრიორიტეტები.....	15
5. სივრცით-ტერიტორიული განვითარების ხედვა და სტრატეგია.....	17
5.1. ხედვა.....	17
5.2. სტრატეგია	17
6. სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტი.....	18
6.1. მიწათსარგებლობა.....	18
6.2. განაშენიანების რეგულირება.....	21
III. ეფექტიანობის შეფასება.....	30
7. მიმოხილვა	30
8. SWOT ანალიზი	31
9. ინდიკატორები	31
IV. განხორციელების ეტაპები და რიგითობა.....	32
10. ზოგადი პრინციპი	32
10.1. განხორციელების ეტაპები.....	32
10.2. I ეტაპში დაგეგმილი ღონისძიებებია:.....	32
10.3. II ეტაპში დაგეგმილი ღონისძიებებია:.....	32
10.4. III ეტაპში დაგეგმილი ღონისძიებებია:.....	32

ტექსტური ნაწილი

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორია II
გეგმარებითი არეალის (ქვედა გუდაური 1)
გრგ

ქ. თბილისი, 2017



საქართველოს
მთის კურორტების
განვითარების კომისია

28.09.17

Free ARCHITECTS®

შპს თავისუფაღი ანქიტექტორები

405045080

ბერი გამრიელ სალონის გამზ, VI შესახვევი, N1
თბილისი, საქართველო
freearchitects.co@gmail.com

I. აღწერა

1. ძირითადი ცნებები-ტერმინები და შემოკლებები

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ გეგმარებით დავალებაში განმარტებული და გამოყენებული მნიშვნელობები, გარდა ქვემოთ მოცემული ტერმინებისა:

- 1) განაშენიანების წყობის სახეობა — განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობის გრგ განსაზღვრული სახეობა. წყობის სახეობა ღიაა, როდესაც შენობები თავისუფალი განთავსებისაა და არ ებჯინება ერთმანეთს; წყობის სახეობა დახურულია, როდესაც შენობები მიჯრით დგანან ერთმანეთთან და ქმნიან ჩაკეტილ მოშენებას (ქუჩის ან კვარტალის შიგნით); წყობის სახეობა შერეულია, როდესაც გვაქვს ნახევრად ღია / დახურული წყობა.
- 2) ქსთეტიკური წყობა — შენობა-ნაგებობის ქსთეტიკური მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც დადგენილია წინამდებარე გრგ, [განვითარების ხედვის](#) შესაბამისად.
- 3) კასკადური შენობა — რთული რელიეფის პირობებისათვის მიზანშეწონილი, რელიეფის ქანობზე საფეხურებად განვითარებადი (სადაც ერთდროულად ორი ან სამი სართული ქმნის თითო საფეხურს), სპეციფიკური სივრცით-მოცულობითი და გეგმარებითი გადაწყვეტის მქონე შენობა.
- 4) ლიმიტაცია — გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც ცალკეული გამოწვევების საპასუხო გადაწყვეტებში დაგეგმარების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს.
- 5) პარამეტრის საგამონაკლისო მაჩვენებელი — გუდაურის რეგულირების წესებით დადგენილი სამშენებლო განვითარების პარამეტრებისათვის დადგენილი ზღვრული მაჩვენებლებისგან, [განვითარების ხედვის](#) შესაბამისად გადამეტებული მაჩვენებელი.
- 6) პარამეტრის სპეციალური მაჩვენებელი — გუდაურის რეგულირების წესებით დადგენილი სამშენებლო განვითარების პარამეტრებისათვის დადგენილი ზღვრული მაჩვენებლებიდან, [განვითარების ხედვის](#) შესაბამისად შერჩეული (დაზუსტებული) მაჩვენებელი.
- 7) რთული რელიეფი — მიწის ზედაპირის ფორმების ისეთი ერთობლიობა (საშუალო ქანობი – 10 გრადუსი და მეტი), რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს სამშენებლო და სამეურნეო ფუნქციურ-საყოფაცხოვრებო, ჰიგიენურ-სანიტარულ, არქიტექტურულ-მოცულობით და ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებლებზე და შესაბამისად განაპირობებს დაგეგმარების, განაშენიანების და კეთილმოწყობის სპეციალური საშუალებების გამოყენებას.
- 8) საგამონაკლისო გამოყენების სახეობა — გუდაურის რეგულირების წესებით დადგენილი უძრავი ქონების (ობიექტის) გამოყენების ნებადართული სახეობებისგან [განვითარების ხედვის](#) შესაბამისი განსხვავებული სახეობა ან სახეობები.
- 9) საზოგადოებრივი სივრცე — განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები ან/და მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მოხმარებისათვის ან/და ასეთად არის დადგენილი მოქმედი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტ(ებ)ით.
- 10) სამშენებლო პოტენციალი — მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, ამ გრგ ან/და გუდაურის რეგულირების წესებით დადგენილი სამშენებლო განვითარების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა.

- 11) სართულის განაშენიანების ფართობი — სართულის იატაკის ზედაპირის² გარე კონტურში მოქცეული ფართობი, ტერასების და აივნების ფართობების გამოკლებით.
- 12) საცხოვრებელი სიმჴიდროვე — დაგეგმარებითი თვალსაზრისით მოწესრიგებული ტერიტორიის (უბნის ან გრგ შესაბამისი გეგმარებითი ერთეულის) საზღვრებში რეგულირების წესებით ფუნქციური ქვეზონისთვის განსაზღვრული საწოლი ერთეულების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე.
- 13) სპეციალური გამოყენების სახეობა — გუდაურის რეგულირების წესებით დადგენილი უძრავი ქონების (ობიექტის) გამოყენების ნებადართული სახეობებიდან, განვითარების ხედვის შესაბამისად შერჩეული (დაზუსტებული) სახეობა ან სახეობები.
- 14) ტერასული შენობა — რთული რელიეფის პირობებისათვის მიზანშეწონილი, რელიეფის ქანობზე საფეხურებად განვითარებადი (სადაც თითო სართული ქმნის თითო საფეხურს), სპეციფიკური სივრცით-მოცულობითი და გეგმარებითი გადაწყვეტის მქონე შენობა.
- 15) უფლებრივი ზონირების დეტალური დოკუმენტი — გრგ ზონირების ნაწილი, რომელიც მოიცავს უფლებრივი ზონირების დადგენილი ან/და დაზუსტებული სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტების ამსახველ გეგმებს და შესაბამის განმარტებებს (გრგ ტექსტურ ნაწილში).
- 16) შენობის განაშენიანების ფართობი — შენობის ყველა სართულის განაშენიანების ფართობი.

1.1. გამოყენებული შემოკლებები

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ შემოკლებებს³ აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

- 1) II არეალი / მე-2 არეალი — გეგმარებითი დავალებით განსაზღვრული მე-2 გეგმარებითი არეალი, რომლისთვისაც დამუშავდა წინამდებარე გრგ.
- 2) გდ — გეგმარებითი დავალება, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 აგვისტოს №401 დადგენილებით დამტკიცებული „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე 6 გეგმარებით არეალში განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება“;
- 3) გის — გეოინფორმაციული სისტემა;
- 4) გრგ — განაშენიანების რეგულირების გეგმა;
- 5) გუდაური — გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორია, საქართველოს პრეზიდენტის №968 ბრძანებულებით დამტკიცებულ საზღვრებში;
- 6) დაკვეთი — შემსყიდველი;
- 7) დეპარტამენტი — სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი;
- 8) ეკოსაინი — Ecosign Mountain Resort Planners Ltd.⁴
- 9) კვლევა — ხელშეკრულების ფარგლებში ტდ განსაზღვრული მოცულობით ჯგუფის მიერ ჩატარებული გრგ გეგმარებითი დავალების შემუშავებისთვის საჭირო წინასაპროექტო კვლევა, რომელიც საფუძვლად დაედო გდ;
- 10) კომპანია — შემსყიდველი;

² იატაკის ზედაპირი განმარტებულია მთავრობის დადგენილებაში (იხ. ref.#14, მუხლი 3);

³ მათ შორის აბრევიატურები, გამოიყენება ბრუნვის ნიშნების გარეშე.

⁴ <http://www.ecosign.com/home>



- 11) კონცეფცია – ტდ განსაზღვრული სტრატეგიული განვითარების ხედვა (კონცეფცია);
- 12) მგგ/გენგეგმა – გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (პროექტი), შემუშავებული ეკოსაინის მიერ;
- 13) მთავრობა – საქართველოს მთავრობა;
- 14) მუნიციპალიტეტი – შესაბამის კონტექსტში თვითმმართველი თემი ყაზბეგის მუნიციპალიტეტი ან თვითმმართველი თემი დუშეთის მუნიციპალიტეტი;
- 15) პარლამენტი – საქართველოს პარლამენტი;
- 16) რეგულირების წესები – გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები;
- 17) სააგენტო – სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, გუდაურში მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო.
- 18) სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- 19) საჯარო რეესტრი – სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- 20) სწდწ – სამშენებლო ნორმები და წესები;
- 21) ტდ – განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების ტექნიკური დავალება;
- 22) ტერიტორია – საპროექტო ტერიტორია, მე-2 გეგმარებით არეალისთვის გეგმარებითი დავალებით დადგენილი დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები (თავი IV, § 6, პ. 6.1-5).
- 23) ძირითადი დებულებები – საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“;
- 24) ჯგუფი – მიმწოდებლის საპროექტო ჯგუფი.

2. ტექსტური და გრაფიკული აღნიშვნების გაშიფვრა

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულია ამ ნაწილში მოცემული ტექსტური და გრაფიკული აღნიშვნები. აქვე მოცემულია აგრეთვე საერთო აღნიშვნები, რაც გამოყენებულ იქნა წინა სტადიუბზე.

2.1. ტექსტური აღნიშვნები

ტექსტურ აღნიშვნებში, გარჩევადობის და გის პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობისთვის, გამოყენებულია ლათინური ანბანის მთავრული ასოები (Capital Letters). დოკუმენტის ყველა ნაწილი და შემადგენელი აღნიშნულია შესაბამისი კოდით ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან, შემდეგი წესის დაცვით: ეტაპის კოდი > ნაწილის კოდი > შემადგენელის კოდი (მაგ.: გრგ წყალმომარაგებისა და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი ქსელები — DI.W.).

2.1.1. დოკუმენტის აღნიშვნები:

<u>კოდი</u>	<u>გაშიფვრა</u> (ინგლისური)	<u>დასახელება</u> (ქართული)
D	Development Regulation Plan (DRP)	განაშენიანების რეგულირების გეგმა
DT	DRP Text	ტექსტური ნაწილი
DZ	DRP Zoning	ზონირების ნაწილი
DZL	DRP Zoning Legal	უფლებრივი ზონირება
SZ	Sectorial Zoning	გეგმარების შემზღვდავი ზონირება დარგობრივი კანონმდებლობის საფუძველზე
FZ	Functional Zoning	ფუნქციური ზონირება
P	Parameters	განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
DI	DRP Infrastructure	საინჟინრო ნაწილი
R	Roads	ძირითადი გზების და ქუჩების ქსელი
P	Power	ელექტრომომარაგების ძირითადი ქსელი
G	Gas	ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი
W	Water	წყალმომარაგებისა (და საყოფაცხოვრებო წყალარინების) ძირითადი ქსელები
S	Sewer	სანიაღვრე წყალარინების ძირითადი ქსელი
DV	DRP Various	თემატურ ნაწილი
V	Vision	განვითარების საერთო სურათი (ხედვა) და შესაბამისი კომპიუტერული ვიზუალიზაცია
C	Cadaster	დაგეგმვისწინა აღწერითი (ქალაქთმშენებლობითი კადასტრის) მონაცემები

ცხრილი 1. ტექსტური აღნიშვნები



2.1.2. მიწათსარგებლობის ზონირების აღნიშვნები:

მიწათსარგებლობის ზონირებაში (Z) კოდირება შეესაბამება წინა ცხრილს. გრგ იყენებს ცალკეული ზონების შემოკლებებით აღნიშვნებს.⁵ ამასთან, უფლებრივი ზონების დასახელებები და შემოკლებები აღებულია მოქმედი ნორმატიული აქტებიდან:

ზონა		გაშიფრვა	დასახელება	ადგილი
FZ	G	Functional Zoning (General)	ფუნქციური ზონირება (ზოგადი)	მგბ
	D	Functional Subzoning (Detailed)	ფუნქციური ქვეზონირება (დეტალური)	გრგ
SZ	H	Sectoral Zoning Heritage	კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონირება	მგგ / გრგ
	E	Sectoral Zoning Environmental	გარემოს დამცავი ზონირება	მგგ / გრგ
	I	Sectoral Zoning Infrastructure	ინსფრაქტურული ობიექტების დამცავი ზონები/ზოლები	მგგ / გრგ

ცხრილი 2. ზონირების აღნიშვნები

2.2. გრაფიკული აღნიშვნები

გამოყენებული გრაფიკული აღნიშვნები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

N	კატეგორია	განმარტება	გამოყენების მასშტაბი
1	ხატულები	ნახაზზე გამოყენებული მასშტაბგარეშე აღნიშვნები	1:2000 და მეტი
2	გეომეტრიული ფორმები	ნახაზზე გამოყენებული ხაზები (Shapes)	ნებისმიერი
3	პოლიგონალური	ნახაზზე გამოყენებული პოლიგონები (Shapes)	ნებისმიერი
3	ანოტაციები	ნახაზზე გამოყენებული განმარტებები (Labels)	ნებისმიერი

ცხრილი 3. გრაფიკული აღნიშვნები

⁵ რაც შეესაბამება საერთაშორისო და ქვეყანაში დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკას.

3. ილუსტრაციების ნუსხა

3.1. ტექსტური ნაწილში გამოყენებული ილუსტრაციები

ცხრილი 1. ტექსტური აღნიშვნები.....	9
ცხრილი 2. ზონირების აღნიშვნები.....	10
ცხრილი 3. გრაფიკული აღნიშვნები.....	10
ცხრილი 4. მიწათსარგებლობის ზონის სახეები.....	18
ცხრილი 5. უფლებრივი ზონირების დეტალური დოკუმენტი.....	19
ცხრილი 7. გეგმარების შემზღვდავი ზონირება.....	20

3.2. გრაფიკულ ნაწილში გამოყენებული ილუსტრაციები

გრაფიკულ ნაწილში გამოყენებული ილუსტრაციების ნუსხა და სარჩევი მოცემულია იქვე.

II. განმარტებითი ბარათი

განაშენიანების რეგულირების გეგმა წარმოადგენს ტერიტორიის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს. მისი დანიშნულება მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას შესთვაზოს და სამოქმედოდ მიაწოდოს, დაინტერესებულ პირთა და ჩართულ მხარეთა ინტერესების შეჯერების შედეგად ფორმირებული ტერიტორიის განვითარების ხედვა და სტრატეგია, რანჟირებული მათი დროში განხორციელების პრიორიტეტულობის, გადაწყვეტის გზების სირთულის და სამართლებრივი ინსტრუმენტების შესაბამისად, და მათი შესაბამისი განვითარების მართვის სავალდებულო პირობები (სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტი).⁶

გრგ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის ინტეგრირებული დოკუმენტი, რომელიც თავს უყრის, აჯერებს დარგობრივ გეგმებს/პროექტებს/რეგლამენტებს და უზრუნველყოფს მათ თავსებადობას (ან/და კონფლიქტების გამორიცხვას), და ამგვარად ახდენს სივრცით-ტერიტორიული განვითარების პოლიტიკის ფორმირებას (ref.#03, მუხლი 11). გრგ-ში ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებზე შემუშავებულია თემატური დოკუმენტაცია გეგმაში მოცემული პირობების დასაზუსტებლად, დარგობრივი დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავების ამოცანების განსასაზღვრად (ref.#03, მუხლი 12), როგორიც გუდაურის შემთხვევაში არის საბაგირო გზების ინფრასტრუქტურა.

გუდაურის II გეგმარებით არეალის გრგ დაგეგმვის ამოცანების შესაბამისად ფარავს მთლიან საპროექტო ტერიტორიას (იხ. გრაფიკული ნაწილი, გეგმა DV.C.2, გვ. 5) და გუდაურის მგგ ამოცანების შესაბამისად ადგენს სივრცით-ტერიტორიული განვითარების პირობებს (ფიზიკური, სივრცით-მოცულობითი, ტექნიკური, საინჟინრო უზრუნველყოფის, კეთილმოწყობის, ტერიტორიის მოწყობის და სხვა) და შესაბამის რეგლამენტებს. გამომდინარე აქტერი, ის არის ნორმატიული სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და დაწესებულებისათვის და სახელმწიფოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის, აგრეთვე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის (ref.#03, მუხლი 30).

გრგ მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების [პირდაპირი] საფუძველია (ref.#03 მუხლი 30) და გრგ მოქმედების არეალში მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ წინამდებარე გრგ საფუძველზე, ძირითადი დებულებების და რეგულირების წესების საფუძველზე.

გუდაურის II გეგმარებით არეალის გრგ (ხოლო დამტკიცების შემდეგ ასევე მგგ) არის საპროექტო ტერიტორიის მიწის რესურსის მართვის და გამოყენების ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი. დაუშვებელია მიწის განსხვავებული დანიშნულებით გამოყენება ან/და საკადასტრო მონაცემებში ამ მხრივ ცვლილებების შეტანა, გარდა გრგ გათვალისწინებულისა.

გრგ, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ გააჩნია განსაზღვრული მოქმედების ან/და განხორციელების ვადა. ამგვარი ვადა გააჩნია სივრცით-ტერიტორიული **განვითარების**

⁶ გრგ, მგგ განსხვავებით არის სავალდებულო ხასიათის მიწათსარგებლობის გეგმა. თავის მგგ არის ინდიკატიური ხასიათის (სამართლებრივი აქტის ხასიათი, რომელიც გამოხატავს ან მიუთითებს გარკვეული ქმედების განხორციელებაზე და არ ადგენს იმპერატიულ ნორმას), მოსამზადებელი მიწათსარგებლობის გეგმა. გრგ ინდიკატიურია მხოლოდ მისი განვითარების ხედვა — სცენარი.

ხედვის შესაბამისად დაგეგმილ **გასატარებელ ღონისძიებებს**, სადაც საპროექტო ორგანიზატორის განვითარების კონკრეტული პერიოდის საჭიროებების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით შეიტანება სათანადო ცვლილებები.

იმ შემთხვევაში, თუ გრგ სისტემური რევიზიისას დღის წესრიგში დადგა **განვითარების ხედვის** ცვლილების საკითხი, აუცილებელია ახალი გრგ შემუშავება. გრგ სისტემური რევიზიის ციკლი არის 5 წელი, რომელიც აითვლება მისი მიღების⁷ თარიღიდან.

4. დაგეგმვის წინაპირობები

4.1. სამართლებრივი საფუძვლები და წინაპირობები

გრგ შემუშავების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა, მათ შორის:

❖	კანონი	შინაარსი	რეესტრი
➤	ორგანული კანონი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	№1958, 05.02.2014 წ.
➤	კანონი	სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ	№1506, 02.06.2005 წ.
➤	პარლამენტის დადგენილება	მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ	№2205, 04.04.2014 წ.
❖	კანონქვემდებარე	შინაარსი	რეესტრი
➤	მთავრობის დადგენილება	ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირთადი დებულებების დამტკიცების თაობაზე	№59, 15.01.2014 წ.
➤	მთავრობის დადგენილება	გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე 6 გეგმარებით არეალში განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე	№401, 16.08.2017 წ.
❖	სხვა აქტები	შინაარსი	რეესტრი
➤	მომსახურების ხელშეკრულება	გრგ შემუშვების მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება	№187, 24.05.2017 წ.

გრგ შემუშავების წინაპირობაა **წინასაპროექტო კვლევა** და მის საფუძველზე შეგროვებული დაგეგმვის საბაზისო მონაცემების და მათი ანალიზის შედეგების საფუძველზე მომზადებული გდ.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ტერიტორიის: ფიზიკური გარემო; დოკუმენტური მონაცემები; ჩართული მხარეების / დაინტერესებული პირების ინტერესები. კვლევის ფარგლებში შემუშავდა სტრატეგიული განვითარების ხედვა (კონცეფცია) და შესრულდა მისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

შედეგად, ტერიტორიის მიწათსარგებლობისა და განაშენიანების დაგეგმვის და გრგ შემუშავების წინაპირობები შემდეგნაირად გამოიყურება:

⁷ კანონით დადგენილი ფორმით დამტკიცებიდან.



4.2. სახელმძღვანელო დოკუმენტები:

რეფ. ⁸	კლასიფიკაცია	შინაარსი	რეესტრი
ref.#01	კონსტიტუციური კანონი	საქართველოს კონსტიტუცია	№786, 24.08.1995წ
ref.#02	ორგანული კანონი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	№1958, 05.02.2014წ
ref.#03	კანონი	სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ	№1506, 02.06.2005წ
ref.#04	კანონი	გარემოს დაცვის შესახებ	№519, 10.12.1996წ
ref.#05	კანონი	წყლის შესახებ	№936, 16.10.1997წ
ref.#06	კანონი	დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ	№136, 07.03.1996წ
ref.#07	კანონი	საავტომობილო გზების შესახებ	№585, 11.11.1994წ
ref.#08	კანონი	საგზაო მოძრაობის შესახებ	№1830-რს, 24.12.2013წ
ref.#09	კანონი	ტურიზმისა და კურორტების შესახებ	№599, 06.03.1997წ
ref.#10	კანონი	გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ	№1345, 28.04.1998წ
ref.#11	პრეზიდენტის ბრძანებულება	საქართველოში სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინაციონითა სისტემის შესახებ	№206, 30.04.1999წ
ref.#12	პრეზიდენტის ბრძანებულება	საქართველოს კურორტულ ადგილების, სმთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის საეკორეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ	№968, 29.11.2005წ
ref.#13	მთავრობის დადგენილება	ტერიტორიული რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მიზანთად ამონტაჟურების დამტკიცების თაობაზე	№59, 15.01.2014წ
ref.#14	მთავრობის დადგენილება	მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ	№57, 24.03.2009წ
ref.#15	მთავრობის დადგენილება	ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები დადგენის შესახებ	№366, 24.12.2013წ
ref.#16	მთავრობის დადგენილება	მაგისტრალური მიღლასადნების (ნაგობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესხებ	№365, 24.12.2013წ
ref.#17	მთავრობის განკარგულება	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურის, ონის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - უწერის, მრავალძალისა და კურორტ შოვის განვითარებისთვის, ასევე ამროლაურის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - ნიკორწმინდის, ჭრებალოს, წესისა და შაორის ტურისტურ-სარეკრეაციოკომპლექსის განვითარებისთვის საჭირო რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე	№488, 14.03.2017წ
რეფ.	სტანდარტი/წესი	შინაარსი	რეესტრი
ref.#18	სწდწ	ქალაქთმშენებლობა	2.07.01-89
რეფ	სხვა	შინაარსი	რეესტრი
ref.#19	წინასაპროექტო კვლევის ანგარიში და დაგეგმვის საყრდენი დოკუმენტაცია	გრგ გეგმარებით დავალების შემუშავებისათვის საჭირო წინასაპროექტო კვლევა – პირველი ეტაპის მასალები (ავტორი: მპს თავისუფალი არქიტექტორები 2017)	2017წ

⁸ რეფერენსი — წყაროს მითითების კოდური აღნიშვნა.

4.2.1. იერარქიულად მაღლა მდგომი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტები

❖	დოკუმენტი	ავტორი / მიმღები	სტატუსი
➤	ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემა	მთავრობა	არ არსებობს
➤	გუდაურის რეგულირების წესები	მთავრობა	არ არის დამტკიცებული
➤	გუდაურის მგგ	მთავრობა	არ არის დამტკიცებული

შენიშვნა: გრგ შემუშავების მომენტისთვის არ არის დასრულებული გუდაურის მგგ და რეგულირების წესები, ამდენად მათი დაზუსტება უნდა წარიმართოს წინამდებარე გრგ გათვალისწინებული პირობების და რეგლამენტების გათვალისწინებით, ურთიერთშემხვედრის დინების პრინციპის დაცვით.

4.3. დაგეგმვის მიზანი და ამოცანები

4.3.1. დაგეგმვის მიზანი და წარმართველი ხაზი

გეგმარებით დავალების შესაბამისად, II არეალის დაგეგმვის მიზანია მგგ დადგენილი სცენარის და რეგულირების წესებით დადგენილი ძირთადი პირობების დაცვით, საპროექტო ტერიტორიის განვითარების შესაბამისი სტრატეგიის და სამართლებრივი საფუძვლების ფორმირება.

II არეალის დაგეგმვის სივრცით-ტერიტორიული განვითარების წარმართველ ხაზს — ძირითად მიმართულებას წარმოადგენს: მაღალი კლასის დამისთევის, მოსასვენებელი ინფრასტრუქტურის (მათ შორის დაგეგმილი კერძო განვითარების) სივრცით-გეგმარებითი მოწესრიგება და ლანდშაფტთან ჰარმონიულობის უზრუნველყოფა.

4.3.2. დაგეგმვის ამოცანები

დაგეგმვის მიზნიდან გამომდინარე, დაგეგმვის ამოცანაა შესაბამისი საკვანძო და დამხმარე გადაწყვეტების განხორციელებისთვის სამართლებრივი პირობების განსაზღვრა (მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით). კერძოდ:

- (1) კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შეჯერება განვითარების საუკეთესო სცენარის (ხედვის) გამოვლენის მიზნით;
- (2) მგგ დაგეგმილი მიწათსარგებლობის დაზუსტება და განაშენიანების რეგულირების (მშენებლობის მართვის) საკითხების გადაწყვეტა, პირველი ამოცანის დაცვით;
- (3) ტერიტორიაზე არსებული განვითარების პროექტების/გეგმების მაქსიმალური გათვალისწინება და გრგ გადაწყვეტებთან თავსებადობის უზრუნველყოფა.

4.4. დაგეგმვის პრინციპები და პრიორიტეტები

4.4.1. პრინციპები

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სახელმძღვანელო პრინციპების

(ref.#03, მუხლი 5), გეგმარებით დავალების შესაბამისად, მე-2 არეალის გრგ შემუშავებაში დაგეგმვის
ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებია:

- სახელმწიფო მიწის რესურსის (გაუნაშენიანებელი ტერიტორიების მაქსიმალური შენარჩუნებით) ადეკვატური და რაციონალური გამოყენება, პირველი და მეორე ამოცანების საპასუხო გადაწყვეტების უზრუნველსაყოფად;
- გაუნაშენიანებული მიწის ნაკვეთების ზომიერი განაშენიანებია, მხოლდო აუცილებლობის ფარგლებში;
- ეკონომიკური და სხვა საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმალიზება;
- სარეკრეაციო სივრცის შენარჩუნება;
- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში საჯაროობის უზრუნველყოფა.

4.4.2. პრიორიტეტები

მე-2 არეალის გრგ შემუშავებაში დაგეგმვის პრიორიტეტებია:

- გამწვანებული ტერიტორიების დაცვა და შენარჩუნება;
- სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურის უპირატესი დაცვა და განვითარების ხელშეწყობა;
- ტერიტორიის პოტენციალის ფარგლებში, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

5. სივრცით-ტერიტორიული განვითარების ხედვა და სტრატეგია

(გრაფიკულ ნაწილში შეესაბამება: DV.V.1. განვითარების სტრატეგიული გეგმა (გვ. 3))

5.1. ხედვა

მე-2 არეალი მდებარეობს გუდაურის საზღვრებში, საქართველოს სამხედრო გზიდან (E117) უახლოესი მონაკვეთიდან 400 მეტრში, ზღვის დონიდან 1850-1890 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მასზე გადის ძირითადი სათხილამურო ტრასების უდიდესი ნაწილი (ჩრდ. აღოსავლეთიდან, სამხრ.-დასავლეთის მიმართულებით).

მე-2 არეალი წარმოადგენს ქვედა გუდაურის ნაწილს და მთლიანად მოაზრებულია, როგორც მგგ დადგენილი სარეზერვო საინვესტიციო ტერიტორია გუდაურის განვითარების სცენარში. გამწვანებულ ფერდთან უშუალო სიახლოვის გამო, მისი ინფრასტრუქტურა ორიენტირებულია სასტუმრო-სარეკრეაციო სერვისების მიწოდებაზე, სადაც წამყვანი ადგილი უკავია ღამის თევასა და მოსვენებას.

არეალში ცენტრალური ადგილი უკავია მაღალი კლასის 2 სატუმროს, თანხმლები იფრასტრუქტურით, რომელიც გუდაურის სათხილამურო ტრასებს უკავშირდება N8 საბაგრო გზით. ტერიტორიის დასავლეთით საზღვრავს ხშირად გამწვანებული ფერდი და ხევი. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულია სარეზერვო, საინვესტიციო მიწის ნაკვეთები.

არეალი ჩართულია გუდაურის ტურისტული მომსახურების ერთიან სეზონურ ციკლში და ზაფხულის სეზონზე წარმოადგენს სამთო გართობისა და პასიური დასვენების ზონას.

5.2. სტრატეგია⁹

სასურველი განვითარების მისაღწევად (იხ. გვ. 5.1) საკვანძო გადაწყვეტებად, მგგ გათვალისწინებულია, დაგეგმილია შემდეგი:

- N1, 2, 3 და 4 მიწის ნაკვეთების გამოყოფა (საინვესტიციო დანიშნულებით);
- N1 და 2 მიწის ნაკვეთებზე (სასტუმროს, კაფე-რესტორნის, საზოგადოებრივი ტუალეტის და მოსასვენებელი სივრცის მოწყობა);
- N1 მიწის ნაკვეთთან სათხილამურო ინფრასტრუქტურის და ტრასის მოწყობა;
- N3 და N4 მიწის ნაკვეთებზე მგგ სცენარის შესაბამისი განვითარების უზრუნველყოფა რეგულირების წესების დაცვით;

საკვანძო გადაწყვეტების დამხმარე გადაწყვეტებს შორის არის:

- არეალამდე მისასვლელი გზის და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის რეგენერაცია, საერთო გუდაურის მგგ ხედვის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე გრგ გამოყოფილ ცალკეულ სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე მშენებლობის ნებართვების გაცემა დაუშვებელია, ვიდრე არ განხორციელდება მთლიანი ტერიტორიის საკადასტრო და საინჟინრო მომზადება და ასევე ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა, გრგ მთხოვნების დაცვით. ამ უკანასკნელის მინიმალური პირობაა მისასვლელი საჯარო თუ კერძო გზის ფიზიკური ფორმირება, სხვა კომუნიკაციებისთვის არხების/ტრასების გათვალისწინებით. საჯარო გზის ფორმირებისთვის

⁹ განვითარების სასურველი სურათის მიღწევის გზები.

28.09.17

გამოყენებულ უნდა იქნეს თანამონაწილეობის პრინციპი, მგგ და განაშენიანების წესებით დადგენილ ფარგლებში და პირობებით. რეკომენდებულია სპეციალური ფონდის ფორმირება, რომელშიც მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ფულადი თანამონაწილეობის პროცენტული წილი გამოითვლება ასაშენებელი გზისა და შენობის განაშენიანების ფართობის შეფარდებით.

6. სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტი

6.1. მიწათსარგებლობა

დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული განვითარების საფუძველს ქმნის მიწათსარგებლობის დაგეგმვა. მიწათსარგებლობის დაგეგმვა არის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების პირობების (დაწინებულება, გამოყენების სახეობა და პარამეტრები, და სხვა) განსაზღვრა, უფლებრივი ზონირების გამოყენებით.

გუდაურის უფლებრივი ზონირება ასახულია მგგ უფლებრივი ზონირების ზოგად დოკუმენტში.

6.1.1. მიწათსარგებლობის ზონირება

უფლებრივი ზონირება ხორციელდება მიწათსარგებლობის ზონირების გამოყენებით, რომელიც გულისხმობს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული მახასიათებლებით¹⁰ დასახლების ტერიტორიების იდენტიფიცირებას და მათზე სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტების განსაზღვრას.

მე-2 არეალის გრგ, განვითარების ხედვისა და სტრატეგიიდან გამომდინარე, განაშენიანებული და გაუნაშენიანებელი ტერიტორიების საზღვრების გათვალისწინებით,¹¹ გამოყენებულია მიწათსარგებლობის ზონირების შემდეგი სახეები:

№	ზონის სახეობა	შენიშვნა
1.	გეგმარების შეზღუდვავი ზონირება:	—
1.1.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონირება	არ გვხვდება არეალში
1.2.	გარემოს დამცავი ზონირება	გდზ-3
1.3.	ინსფრაქტურული ობიექტების დამცავი ზონები/ზოლები	სხვადასხვა ტიპი
2.	ფუნქციური ქვეზონირება (დეტალური)	სხვადასხვა ტიპი

ცხრილი 4. მიწათსარგებლობის ზონის სახეები

ცხრილში მოცემული ზონირების სახეები გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით და ასახულია გრგ უფლებრივი ზონირების დეტალური დოკუმენტში (DZL).

¹⁰ ასეთი მახასიათებლები შეიძლება იყოს: ტერიტორიების ქალაქითმშენებლობითი ღირებულება, ტერიტორიულ-სტრუქტურული, გამოყენების სახეობა და პარამეტრები, გეგმარების შემზღვდავი ან/და ამკრძალავი პირობები და ა.შ.

¹¹ იდენტიფიცირებულია საყრდენ გეგმაში.

6.1.2. უფლებრივი ზონირების დეტალური დოკუმენტი

გრგ უფლებრივი ზონირების დეტალური დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ტექსტურ და გრაფიკულ ინფორმაციას:

უფლებრივი ზონირების დეტალური დოკუმენტი		კოდი
Nº	უფლებრივი ზონირების სახეობა	DZL
1.	ინსფრაქტურული ობიექტების დამცავი ზონები/ზოლები	SZ.I
2.	გარემოს დამცავი ზონები/ზოლები	SZ.E
3.	ფუნქციური ზონირება	FZ
3.1.	მიწის ნაკვეთების განაწილება და უძრავი ქონების (ობიექტის) გამოყენების ნებადართული სახეობები	FZ.P.1
3.2.	მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსება და სამშენებლო განვითარების პარამეტრები	FZ.P.2

ცხრილი 5. უფლებრივი ზონირების დეტალური დოკუმენტი

ინფორმაციის ზედღების თავიდან აცილების მიზნით, უფლებრივი ზონირების დეტალური დოკუმენტის გრაფიკული ნაწილი არ მომზადდა შეთავსებული, ერთიანი გეგმის სახით. ამდენად, ცხრილში თითეულ ნაწილს შესაბამება ერთი გეგმა (შესაბამისი კოდური აღნიშვნით), ხოლო რეგლამენტები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში.

6.1.2.1. ფუნქციური ქვეზონები (FZ):

1. ფუნქციური ზონება არის მიწათსარგებლობის ზონირების ნაწილი, რომელიც ახდენს დასახლების ტერიტორიების ინდენტიფიცირებას მათი გამოყენების დომინირებული სახეობის მიხედვით. გამოყენების სახეობა შეიძლება იყოს არსებული ან/და რეგულირების წესების საფუძველზე მგგ/გრგ დადგეგმილი (საპროექტო).

2. გუდაურის მთელ ტერიტორიაზე:

- ფუნქციური ზონების (ზოგადი) და მათი ქვეზონების (კონკრეტული) შესაძლო სახეობების, ასევე მათი რეგლამენტები და ზონების ტერიტორიაზე უძრავი ქონების (ობიექტის) გამოყენების ნებადართული სახეობების ჩამონათვალი განსაზღვრულია გუდაურის რეგულირების წესებით;
- ფუნქციური ზონების საზღვრები დადგენილია მგგ და ასახულია უფლებრივი ზონირების ზოგად და კონკრეტულ დოკუმენტებში.¹²

3. საპროექტო ტერიტორიაზე:

- გრგ ფარგლებში დაზუსტდა მგგ დადგენილი ზონა სამომავლო **სრზ-2**, დაზუსტდა **სრზ-2, ტზ-1 და ლსზ** 'ქვეზონებად და ასახულია გრგ ფუნქციური ზონირების გეგმაზე (DZL.FZ.2);
- უძრავი ქონების (ობიექტის) გამოყენების ნებადართული **სპეციალური** ან **საგამონაკლისო** სახეობები რეგლამენტირებულია § 6.2.2.2-ში და ასახულია მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმაზე (DZL.FZ.P.1);

¹² იხ. მგგ > გრაფიკული ნაწილი > გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ზოგადი უფლებრივი ზონირების რუკა (მიწის გამოყენების გეგმა) 22გ და გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკა.

გ) მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსება და სამშენებლო განვითარების პარამეტრები რეგლამენტირებულია § 6.2.2.2-ში და ასახულია მიწის ნაკვეთზე შენობების განთავსების გეგმაზე (DZL.FZ.P.2).

6.1.2.2. გეგმარების შემზღვდავი ზონები/ზოლები

1. საპროექტო ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ინფრასტრუქტურის დამცავი ზონები/ზოლები:

ზონა/ზოლი	განმარტება
სათხილამურო ტრასის ზონა	სათხილამურო ტრასის უსაფრთხოების ზონა
საბაგირო გზის ზოლი	საბაგირო გზის უსაფრთხოების ზოლი
გდზ 3	წყლის დაცვის ტერიტორია
სეგჭ ზონა	ელექტროგადამცემი ხაზის უსაფრთხოების ზონა
საავტომობილო გზის ზოლი	საერთაშორისო საავტომობილო გზის უსაფრთხოების ზოლი 10 მ

ცხრილი 6. გეგმარების შემზღვდავი ზონირება

2. ინფრასტრუქტურის დამცავი ზონები/ზოლები და მათი რეგლამენტები განსაზღვრული შესაბამისი სფეროს კანონმდებლობით და აისახება მგგ/გრგ უფლებრივი ზონირების დოკუმენტებში.

6.2. განაშენიანების რეგულირება

6.2.1. მიწის ნაკვეთები

1. მიწის ნაკვეთების დაყოფა, გაერთიანება და კონფიგურაციის ცვლა რეგულირდება გუდაურის რეგულირების წესებით.

2. პირველი პუნქტიდან გამონაკლის წარმოადგენს წინამდებარე გრგ გადაწყვეტების შესაბამისად საჭირო მიწის ნაკვეთები, რომელთა გამოყოფა უნდა განხორციელდეს მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმის (DZL.FZ.P.1) შესაბამისად.

3. გრგ გამოყოფილი სამშენებლო მიწის ნაკვეთების დაყოფა-გაერთიანება ან/და საზღვრების ცვლა დაუშვებელია გრგ ცვლილებების შეტანის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, გარდა ქვემოთ დადგენილი შემთხვევებისა.

მიწის ნაკვეთი		რეგლამენტი			
კოდი	ფართობი	დაყოფა	გაერთიანება	საზღვრების ცვლა	სერვიტუტი
1	9600	დაუშვებელია	დასაშვებია N2-თან	დასაშვებია	კერძო
2	13000	დაუშვებელია	დასაშვებია N1 / N3-თან	დასაშვებია	—
3	5129	დაუშვებელია	დასაშვებია N2-თან	დასაშვებია	—
4	2990	დაუშვებელია	დასაშვებია N6-თან	დასაშვებია	—
12.528	—	დასაშვებია	დასაშვებია	დასაშვებია	საზოგადოებრივი
12.451	—	დასაშვებია	დასაშვებია	დასაშვებია	საზოგადოებრივი
12.024	—	დასაშვებია	დასაშვებია	დასაშვებია	საზოგადოებრივი
12.096	—	დასაშვებია	დასაშვებია	დასაშვებია	საზოგადოებრივი

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში დადგენილი რეგლამენტის გამოყენების შემთხვევაში (გაერთიანება/დაყოფა/საზღვრების ცვლა), სამშენებლო მიწის ნაკვეთებს უნარჩუნდებათ ის სამშენებლო პოტენციალი, რაც მათთვის დადგენილია 6.2.2.2 პუნქტით, ხოლო კერძო სერვიტუტი არ გამოიყენება, თუ ის ემსახურებოდა გაერთიანებამდე ერთ-ერთ ნაკვეთს.

5. საზოგადოებრივი და კერძო სერვიტუტები განსაზღვრულია (ან უნდა განისაზღვროს) აუცილებელი გზის უზრუნველსაყოფად და მათზე გავრცელდება ამ გრგ, გუდაურის რეგულირების წესებთა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები. ამასთან:

5.1. სამშენებლო პოტენციალის დათვლისას სერვიტუტის ფართობის გამოკლება არ ხდება (იხ. გეგმა DZL.FZ.P.1)

5.2. სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ მიწის ნაკვეთები, რომელებიც წარმოადგენს არასამშენებლო მიწის ნაკვეთებს, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აუცილებელ მისასვლელად და ასეთ შემთხვევაში ისინი უტოლდებიან საზოგადოებრივი სერვიტუტს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი მოქმედი კანონმდებლობით.

5.3. საზოგადოებრივი სერვიტუტის საზღვრის სამეზობლო საზღვართან შეთავსების შემთხვევაში, ამ საზღვრის მიმართ გამოიყენება საზოგადოებრივი საზღვრის მიმართ ძირითადი დებულებების 26-ე მუხლებით და აგრეთვე 31-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, ანალოგის წესით.

5.4. კერძო სერვიტუტის საზღვარზე შენობის განთავსების შემთხვევაში შენობა-ნაგებობების ნაწილების სერვიტუტზე შეჭრის მიმართ გამოიყენება ძირითადი დებულებების 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები, ანალოგის წესით

6. უპირატესი შესყიდვის უფლებით არცერთი მიწის ნაკვეთი არ არის მონიშნული. ¹³
7. უპირატესი დარეგისტრირების უფლებით არც ერთ ნაკვეთი არ არის მონიშნულია. ¹⁴

¹³ მონიშვნის შემთხვევაში: ეს უფლება გრვ განხორციელების სტრატეგიული მიზნებით უნდა იყოს განპირობებული და ემსახურებოდეს საზოგადებრივი ობიექტების მშენებლობას.

¹⁴ მონიშვნის შემთხვევაში: ეს უფლება უნდა შეესაბამებოდეს ref.#02, 107-ე მუხლის მოთხოვნებს.

6.2.2. სამშენებლო განვითარების პარამეტრები

6.2.2.1. პარამეტრების ტიპები და ანგარიშის წესი

1. ფუნქციური (ქვე)ზონების ტერიტორიაზე უძრავი ქონების (ობიექტების) განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ტიპები და მათი დასაშვები მაჩვენებლების ზღვრები განისაზღვრება გუდაურის რეგულირების წესებითა და დამატებით წინამდებარე გრგ.

2. უძრავი ქონების (ობიექტების) სამშენებლო განვითარების პარამეტრები არის:

ა) მიწის ნაკვეთის პარამეტრები:

- ა.ა) მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი — S;
- ა.ბ) მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე — W;
- ა.გ) მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე — D;
- ა.დ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი — კ-1;
- ა.ე) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი — კ-2;
- ა.ვ) მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი — კ-3;
- ა.ზ) მაქსიმალური საცხოვრებელი სიმჭიდროვე — ც.

ბ) შენობა-ნაგებობის პარამეტრები:

- ბ.ა) სივრცით-გეგმარებითი წყობის სახეობა — SF;
- ბ.ბ) ესტეთიკური წყობა — A;
- ბ.გ) მაქსიმალური სართულიანობა ან სიმაღლე — H;
- ბ.დ) შენობის განაშენიანების ფართობის მაქსიმალური მაჩვენებელი — FA;
- ბ.ე) მინიმალური წინა ეზო — FY;
- ბ.ვ) მინიმალური გვერდითი ეზო — SY;
- ბ.ზ) მინიმალური წინა ეზო — BY;
- ბ.თ) განაშენიანების რეგულირების ხაზი (წითელ ხაზი) — RL;
- ბ.ი) განაშენიანების სავალდებულო ხაზი (ლურჯ ხაზი) — BL;
- ბ.კ) ავტომანქანების სადგომი ადგილების აუცილებელი რაოდენობა — P.

3. რეგულირების წესებით დადგენილი სამშენებლო განვითარების პარამეტრებიდან საპროექტო ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმაზე (DZL.FZ.P.1) გამოყოფილი სამშენებლო მიწის ნაკვეთების შესაბამისად:

- ა) დაზუსტებულია ან/და საგამონაკლისო წესით დადგენილია: კ-1, კ-2, კ-3, ც, SF და H;
- ბ) არ გამოიყენება: S, W, D, FY, SY, BY; ცხრილებში შესაბამის ადგილას მითითებულია „—“.
- გ) გრაფიკულად არის დადგენილი: RL/ BL (იხ. მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების გეგმა - DZL.FZ.P.2);
- დ) საზოგადოებრივი გზების მიღმა ავტოსადგომებისთვის რეგულირების წესებიდან უცვლელად გამოიყენება: P, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთს დაუდგინდა აუცილებელი საზოგადოებრივი სარგებლობისთვის (ფასიანი სერვისი) ავტოსადგომის მოწყობის ვალდებულება.

4. სამშენებლო განვითარების პარამეტრებიდან მთლიანად წინამდებარე გრგ არის დადგენილი: A (იხ. გ. 6.2.2.4) და FA, რაც მგგ დადგენილ პირობებს ესადაგება.

5. სამშენებლო განვითარების პარამეტრების აგნარიშის წესი:

- ა) კ-1, კ-2, კ-3 — ანგარიშის წესი დადგენილია რეგულირების წესებით;
- ბ) ც — ანგარიშის წესი თითოეული ქვეზონისთვის დადგენილია გუდაურის მგგ რეგლამენტით (იხილეთ ცხრილი 4.1). გრგში საცხოვრებელი სიმჭიდროვე მითითებულია საწოლების რაოდენობით მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი შენობის განაშენიანების ფართობის მიხედვით;
- გ) **Hმიმაღლე** — იანგარიშება 1 მ-ის სიზუსტით, შენობის საანგარიშო ზედაპირის გრუნტის ზედაპირთან შეხების ყველაზე დაბალი ნიშნულის მქონე ხაზიდან, შენობის საანგარიშო ზედაპირის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე. ტერასული შენობის შემთხვევაში სიმაღლეში უნდა ჩაითვალოს ყველა სართულის სიმაღლე, რომელიც ქმნის ტერასას და არ არის მთლიანად



მოქცეული გრუნტის ზედაპირს ქვევით. სიმაღლის ანგარიშისას უცვლელად გამოიყენება ძირითადი დეტალების 27-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგნილი მოთხოვნები;

დ) **ჸსაჩვენებელი** — იანგარიშება შენობის მიწისპირა სართულიდან ბოლო სართულის ჩათვლით, ყველა ტიპის სართული, გარდა ტექნიკური სართულისა და მიწისქვეშა სართულისა, თუ ასეთ სართულზე სპეციალური მითითება არ არის § 6.2.2.2 ცხრილში. სართულიანობა უნდა აითვალის შენობის საანგარიშო ზედაპირის გრუნტის ზედაპირთან შეხების ყველაზე დაბალი ნიშნულის მქონე ხაზიდან, ამასთან ტერასული შენობის შემთხვევაში სართულიანობაში უნდა ჩაითვალოს ყველა სართული, რომელიც ქმნის ტერასას და არ არის მთლიანად მოქცეული გრუნტის ზედაპირს ქვევით.

ე) **W, D** — იანგარიშება 1 მ-ის სიზუსტით, ხოლო **S** — 1 კვ.მ-ის სიზუსტით. იმ შემთხვევაში როდესაც, მიწის ნაკვეთს არ გააჩნია სწორკუთხა ფორმა ან/და არის რთული კონფიგურაციის მქონე, მაშინ მიწის ნაკვეთის სიგანედ მიიჩნევა იმ საზოგადოებრივი სივრცის მხარე საზღვრ(ებ)ის გაბარიტული ზომა, საიდანაც გააჩნია გრგ განსაზღვრული მისასვლელი და მის მიმართ მართობული გაბარიტული ზომა მიიჩნევა მიწის ნაკვეთის სილრმედ;

ვ) **FA** — იანგარიშება მიწისპირა და მიწისზედა ყველა ტიპის სართულის განაშენიანების ფართობით, ¹⁵ გარდა ტექნიკური სართულისა, 0.1 კვ.მ-ის სიზუსტით. ამასთან:

3.ა) არასრული სართულისთვის **FA** საანგარიშო ფართობში უნდა დაანგარიშდეს ფართობის ნახევრით;

3.ბ) სართულის სიმაღლის ¹⁶ 4.0 მეტრზე მეტად გაზრდისას, ნამატის პროპორციულად უნდა გაიზარდოს ამავე სართულის განაშენიანების ფართობის მაჩვენებელი და ისე დაანგარიშდეს მთლიანი **FA** მაჩვენებელი, რომელმაც არ უნდა გადააჭარბოს მიწის ნაკვეთისთვის გრგ დადგენილ **FA** მაჩვენებლს.

6. პარამეტრების სპეციალური ან/და საგამონაკლისო მაჩვენებლები, ასევე სპეციალური ან საგამონაკლისო სახეობები დადგენილია § 6.2.2.2, გარდა ესთეტიკური წყობისა.

7. ესთეტიკური წყობის პარამეტრები და მათდამი წაყენებული მოთხოვნები დადგენილია §6.2.2.4.

¹⁵ სართულის ტიპები განმარტებულია მთავრობის დადგენილებაში (იხ. ref.#14, მუხლი 3);

¹⁶ სართულის სიმაღლის ანგარიში განსაზღვრულია მთავრობის დადგენილებაში (იხ. ref.#14, მუხლი 18).

6.2.2.2. პარამეტრების მაჩვენებლები და გამოყენების ნებადართული სახეობები

1. მიწის ნაკვეთი N1: ფუნქციური ქვეზონა სრზ-2.

პარამეტრების მაჩვენებლები და გამოყენების სახეობები			
მიწის ნაკვეთის პარამეტრები	S	—	კვ. მ
	W x D	—	მ
	კ-1	0.4	კოეფიციენტი
	კ-2	—	კოეფიციენტი
	კ-3	0.2	კოეფიციენტი
	→	300	ერთეული
შენობა- ნაგებობის პარამეტრები	SF	ლია	სახეობა
	H	— ¹	სართული
	FA	10560	კვ. მ
	P	— ¹	ატგიდი
გამოყენების სახეობები	სასტუმრო და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფი სათავსები/შენობები ²		ობიექტი
შენიშვნა	¹ განაშენიანების ჩეგუღირების წესების შესაბამისად; ² განაშენიანების ჩეგუღირების ხაზის მაცვით		

2. მიწის ნაკვეთი N2: ფუნქციური ქვეზონა სრზ-2.

პარამეტრების მაჩვენებლები და გამოყენების სახეობები			
მიწის ნაკვეთის პარამეტრები	S	—	კვ. მ
	W x D	—	მ
	კ-1	0.4	კოეფიციენტი
	კ-2	—	კოეფიციენტი
	კ-3	0.2	კოეფიციენტი
	→	400	ერთეული
შენობა- ნაგებობის პარამეტრები	SF	ლია	სახეობა
	H	— ¹	სართული
	FA	14300	კვ. მ
	P	— ¹	ატგიდი
გამოყენების სახეობები	სასტუმრო და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფი სათავსები/შენობები ²		ობიექტი
შენიშვნა	¹ განაშენიანების ჩეგუღირების წესების შესაბამისად; ² განაშენიანების ჩეგუღირების ხაზის მაცვით		

3. მიწის ნაკვეთი N3: ფუნქციური ქვეზონა სრზ-2.

პარამეტრების მაჩვენებლები და გამოყენების სახეობები			
მიწის ნაკვეთის პარამეტრები	S	—	კვ. მ
	W x D	—	მ
	კ-1	0.4	კოეფიციენტი
	კ-2	—	კოეფიციენტი
	კ-3	0.2	კოეფიციენტი
	→	160	ერთეული
შენობა- ნაგებობის პარამეტრები	SF	ლია	სახეობა
	H	— ¹	სართული
	FA	5642	კვ. მ
	P	— ¹	ატგიდი
გამოყენების სახეობები	საოკაზო ტიპის სასტუმრო და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფი სათავსები/შენობები ²		ობიექტი
შენიშვნა	¹ განაშენიანების ჩეგუღირების წესების შესაბამისად; ² განაშენიანების ჩეგუღირების ხაზის მაცვით		

28.09.17

Free ARCHITECTS®

შპს თავისუფადი ანქიტექტორები

405045080

ბერი გამრიცელ სალონის გამზ. VI შესაცეკვა, N1

თბილისი, საქართველო

freearchitects.co@gmail.com



საქართველოს
მთის კურორტების
განვითარების კომისია

4. მიწის ნაკვეთი N4: ფუნქციური ქვეზონა სრზ-2.

პარამეტრების მაჩვენებელი ღა გამოყენების სახეობები			
	S	—	კვ. მ
W x D	—	—	მ
კ-1	0.3	კოეფიციენტი	კოეფიციენტი
კ-2	—	კოეფიციენტი	კოეფიციენტი
კ-3	0.2	კოეფიციენტი	კოეფიციენტი
→	90	ერთეული	ერთეული
SF	და	სახეობა	სახეობა
H	— ¹	სართული	სართული
FA	3289	კვ. მ	კვ. მ
P	— ¹	ადგიდი	ადგიდი
გამოყენების სახეობები	საოჭახო ტიპის სასტუმრო ღა მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფი სათავსები/შენობები ²	ობიექტი	ობიექტი
შენიშვნა	¹ განაშენიანების ჩეგერიზების წესების შესაბამისად; ² განაშენიანების ჩეგერიზების ხაზის მაცვით		

6.2.2.3. განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობა

1. საპროექტო ტერიტორიაზე სივრცით-გეგმარებითი წყობა ღია ხასიათისაა (თავისუფლად-მდგომი შენობები).

2. დასაშვებია შერეული წყობის განვითარება, თუმცა არადომინირებულად.

6.2.2.4. ესთეტიკური წყობა

1. განაშენიანების ესთეტიკური წყობის რეგულირების მიზანია საპროექტო ტერიტორიაზე მაღალი ესთეტიკური ღირებულების სამთო-საკურორტო განაშენიანების ჩამოყალიბება/შენარჩუნება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება, განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრების რეგულირების გზით.

2. აქ მოცემული მოთხოვნები ვრცელდება ყველა ქვეზონაში არსებულ მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების მიმართ, როგორც ახალ მშენებლობაზე, ისე შენობების რეკონსტრუქციაზე.

3. აქ მოცემული მოთხოვნები არ ვრცელდება საბაგირო ხაზის ან/და სხვა ტექნიკურის სახის ნაგებობებზე.

4. შენობა-ნაგებობის ფასადსა და სახურავზე გამოყენებულ უნდა იქნეს ხანმედეგი და სამთო-საკურორტო განაშენიანებისთვის შესატყვისი სამშენებლო-მოსაპირვეთებელი მასალები.

5. დაუშვებელია შენობა-ნაგებობების სახურავზე ნებისმიერი ფორმის (ფურცელი, გოფრირებული და სხვა) შემდეგი გადახურვის მასალების გამოყენება:

- ა) მოთუთიებული თუნექი, შეღებვის ან სხვაგვარი დაფარვის გარეშე;
- ბ) აზბესტ-ბეტონის შიფერი, მათ შორის შეღებილი ან სხვაგვარი დაფარვის მქონე;
- გ) კერამიკული ან სხვა სახის კრამიტი, გარდა მეტალო-კრამიტისა.

6. სახურავზე მასალების ფერების შერჩევა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ გათვალისწინებულ იქნას მიმდებარე განაშენიანების დომინანტური, ესთეტიკური თვალსაზრისით ღირებული არქიტექტურული გამომსახველობა. რეკომენდებული ფერია რუხი, ხოლო ფერთა გამა — დაბალი სიმკვეთრის უნდა იყოს.

7. გადახურვის რეკომენდებული ტიპებია:



ა) ყავარის (ხისგან ან რუბეროიდისგან დამზადებული) სახურავი;

ბ) შავი რუბეორიდის ფენილი.

8. სატრანსპორტო საშუალებების მომსახურება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მომსახურების პროცესი არ აღიქმებოდეს გზიდან/ქუჩიდან.

9. ექსტერიერის ელემენტები და მოწყობილობები/დანადგარები:

ა) რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 30 %-ს;

ბ) „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების მოწყობა ფართობის შეუზღუდვად დასაშვებია მხოლოდ შენობა-ნაგებობის ყრუ ფასადზე ან/და მშენებარე შენობა-ნაგებობის ფასადზე.

გ) სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. ¹⁷ დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება იმ ფასადზე, რომელიც სივრცის ან/და განაშენიანების საერთო აღქმის ნაწილია;

დ) ანტენები (სატელიტური, რადიო და სხვა) უნდა განთავსდეს შენობის (ფასადი, სახურავი) ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება იმ ფასადზე, რომელიც სივრცის ან/და განაშენიანების საერთო აღქმის ნაწილია.

ე) ღიობების დამცავი საშუალებები (ჟალუზების, გისოსების და სხვა) უნდა მოეწყოს ერთიანი სამშენებლო დოკუმენტის პროექტის საფუძველზე, მათი იერ-სახის ფასადებთან ერთად გააზრება-გადაწყვეტით.

6.2.3. მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსება და მათი მაქსიმალური სიმღლეები

1. მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების ზოგადი წესი და მათი მაქსიმალური სიმღლეები განისაზღვრება ძირითადი დებულებების V თავის შესაბამისად და დამატებით გუდაურის რეგულირების წესებით;

2. საპროექტო ტერიტორიაზე უკანა ეზოს პრინციპი არ გამოიყენება;

3. განაშენიანის რეგულირების (წითელი) და სავალდებულო (ლურჯი) ხაზები დადგენილია ხედვის შესაბამისი განაშენიანების მისაღებად.

4. განაშენიანის ხაზებზე შენობის განთავსებისას, შენობების ნაწილების გადაცდენის მიმართ ანალოგით გამოიყენება ძირითადი დებულებების 29-ე და 30-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

6.2.3.1. ავტოსადგომები

1. საზოგადოებრივი გზების მიღმა ავტოსადგომების აუცილებელი რაოდენობა რეგულირდება გუდაურის რეგულირების წესებით.

¹⁷ მათი არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი, მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა.

2. საზოგადოებრივი გზების კიდიდან 10 მეტრიან ზოლის ავტოსადგომად გამოყენება აკრძალულია, გარდა დროებითი ღონისძიებების ფარლებში მოწყობილი დროებითი გაჩერებებისა, „საგზაო მძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

3. ავტოსადგომისთვის ერთ ადგილზე სააგანრიშო (ბრუტო) ფართობი მიიღება 40 კვ.მ-ის ვარაუდით.

4. ავტოსადგომების პროექტირების და მშენებლობის ნორმები მიიღება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ დადგენილება №41 შესაბამისად.

6.2.3.2. მიწის ნაკვეთის შემოღობვა

1. ნებისმიერი მიწის ნაკვეთის შემოღობვა ნებადართულია ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის:

ა) მიწის ნაკვეთის შემოღობვა ნიშნავს ღობის განთავსებას მიწის ნაკვეთის საზღვრის პირზე ან საზღვარზე;

ბ) ღობის სიმაღლე განისაზღვრება გრუნტის ზედაპირიდან ღობის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე. ამასთან, ღობის გასწვრივ ქანობიანი გრუნტის ზედაპირის შემთხვევაში – საშუალო სიმაღლით, ხოლო ღობის განივად გრუნტის ზედაპირის განსხვავებული ნიშნულების შემთხვევაში – გრუნტის ზედაპირის ყველაზე მაღალი ნიშნულიდან;

გ) ღობის სიმაღლეში არ იანგარიშება მისი კონსტრუქციული მდგრადობისთვის განკუთვნილი დგარები ან/და სვეტები, რომელთა სიმაღლე გრუნტის ზედაპირიდან არ აღემატება 2,5 მ-ს, კვეთის ზომები არ აღემატება 30 სმ-ს და დაშორება არ არის 2 მ-ზე ნაკლები.

3. ღობის სიმაღლეების რიცხვითი მნიშვნელობები მიიღება რეგულირების წესების შესაბამისად.

4. მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაწილის შემოღობვა დასაშვებია, თუ ეს განპირობებულია

ა) მიწის ნაკვეთზე განთავსებული, ქვეზონაში ნებადართული გამოყენების სახეობის ფუნქციონირებისათვის საჭირო უსაფრთხოებით, ¹⁸ რომლის არსებობაც დასაშვებია მხოლოდ მთავარ ობიექტთან ერთად; ¹⁹

ბ) მიწის ნაკვეთზე სხვა სახის არასამშენებლო საქმიანობის დაცვით. ²⁰

5. შემოღობვა საპროექტო ტერიტორიის საზღვრებში (მათ შორის მგგ დადგენილ, გუდაურის საკონტროლო არეალში) საჭიროებს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მიღებას.

6.2.3.3. საინჟინრო ქსელები და ნაგებობები

1. ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2009 წლის დადგენილება N57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (ref.#14);

2. I კლასის ქუჩის/გზის (III კატეგორია), III და IV კლასის ქუჩის (I და II კატეგორია), III კლასის გზის (II კატეგორია) მოწყობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოა:

¹⁸ მაგ. ელ.-ქვესადგურის დაცვა.

¹⁹ ღობე არ დაიშვება ცარიელ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც არ დგას თავად დაცვის, მთავარი ობიექტი.

²⁰ მაგ. სამეურნეო საქმიანობა; ღია პარკინგის ან/და იქ განთავსებული ინვენტარის დაცვა და მსგავსი.

ყაზბეგის ან დუშეთის მუნიციპალიტეტი (მიწის ნაკვეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მდებარეობის შესაბამისად), ხოლო ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობს სამინისტრო;

3. V კლასის გზის (I კატეგორია) მოწყობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოა: სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

4. ყველა საინჟინრო ქსელის (გარდა ქუჩისა/გზისა) კლასი და სიმძლავრე დადგინდება/დაზუსტდება სამშენებლო დოკუმენტის პროექტში ქსელის დისტრიბუციაზე ლიცენზიის მქონე კომპანიის მიერ გაცემული ტექნიკური პირობის საფუძველზე. ამ ეტაპზე შენობის სიმძლავრეები უცნობია.

III. ეფექტიანობის შეფასება

7. მიმოხილვა

გრგ შემუშავების პროცესში კვლევის შედეგებმა ნათლად აჩვენა, რომ ქალაქებმარებითი დოკუმენტების არარსებობის პირობებში, ადგილი აქვს განაშენიანების ქაოტურ და სპორადულ ჩამოყალიბებას. ძველი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები მეტ-წილად ემორჩილება ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამეზობლო ურთიერთობების წესრიგს, თუმცა სრულიად სპორადულია საქმიანი და კომერციული გამოყენებების გაჩენა გუდაურის ყოფილი სოფლების ტერიტორიებზე. აღნიშნული გამოწვეულია განვითარების ლოგიკური ხაზის არ არსებობით, რაც მომსახურების საბაზრო მოთხოვნებს სპონტანურ და მოუწესრიგებელ სივრცედ აქცევს.²¹ საერთო ლოგიკა აშკარაა — საბაგირო სადგურები მთავარი მიზიდულობაა ინფრასტრუქტურის განვითარების, რაც უკვე დაწყებულია და დამატებით რისკებს შეიცავს ინფრასტრუქტურის კონცენტრაციის და სივრცის გადატვირთვის თვალსაზრისით.

დაგეგმვის დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში კი, გარემოს განვითარება განჭვრეტადია და სამომავლო ნაბიჯების გადადგმა ცალკეული პირების მხრიდან (იქნება ეს საკუთარი ნაკვეთების მოწესრიგება, კომერციული საქმიანობით დატვირთვა და სერვისის შეთავაზება) დაზღვეულია გრძელვადიან პერსპექტივაში.

გრგ ეფექტიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ასპექტებია მიზნისა და ამოცანების შესაბამისად:

- დაგეგმვის წინაპირობების ადეკვატური შეფასება;
- დაგეგმვის გამოწვევების და ლიმიტაციების განსაზღვრა;
- დაგეგმვის პრინციპების და პრიორიტეტების იდენტიფიცირება;
- განვითარების ზოგადი და კონკრეტული ხედვების ფორმირება, ჩართული მხარეების მონაწილეობით და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით;
- განვითარების სტრატეგიის თავსებადობა ხედვასთან და განხორციელებადობა;
- დაგეგმილი ღონისძიებების და გადაწყვეტების პრიორიტეტებად რანჟირება;
- თვითმართველობის ორგანოებისთვის ერთიანი სახელმძღვანელო და სამოქმედო დოკუმენტისთვის გეოსაინფორმაციო ბაზების არსებობა;
- დოკუმენტის პრაქტიკულობა და საჯარო გამოყენებადობა.

წინამდებარე გრგ წარმოადგენს სტურქტურულად გამართულ, მკაფიო ხედვის და გადაწყვეტების მქონე სივრცით-ტერიტორიული განვითარების სახლემდღვანელო დოკუმენტს.

ეფექტიანობა: კვლევის შედეგად გამოვლენილი დაგეგმილი ღონისძიებები პასუხობს საპროექტო ტერიტორიისთვის დასახული განვითარების ხედვას და სტრატეგიას, რანჟირებულია დროში განხორციელების პრიორიტეტულობის, გადაწყვეტის გზების სირთულის და სამართლებრივი ინსტრუმენტების შესაბამისად. მათი იმპლემენტაცია ტერიტორიის განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობისაა და გრგ საბოლოო ეფექტიანობა ამაზეა დამოკიდებული.

²¹ ასე მაგ. კერძო მესაკუთრემ შეიძლება გახსნას კაფე-რესტორანი კონკეტულ დროის მონაკვეთში გაჩენილი მოთხოვნის საპასუხოდ, თუმცა მისი გადავლის შემდგომ აბიუქტი შეიძლება უფლებით დარჩეს.

გრგ ეფექტიანობა, მეთოდოლოგიური გამართულობის გარდა, განისაზღვრება ორი მნიშვნელოვანი ურთიერთშემსვედრი ფაქტორით:

- განვითარების მიზანი: ხედვა ან/და არასასურველი განვითარების პრეცენცია, აქცეპტირებული უნდა იყოს ყველა ჩართული მხარის მიერ, რათა ამოქმედდეს მისი განხორციელების სცენარი;
- უნდა არსებობდეს პოლიტიკური წება და ადმინისტრაციული უნარი გეგმის ამოქმედებისთვის.

მუნიციპალიტეტისთვის და აგრეთვე მთავრობის დაინტერესბული უწყებებისთვის (სამინისტრო, კომპანია) გრგ, როგორც გუდაურის განვითარების მართვის ინსტრუმენტის გამოყენება და მისი ინპლემენტაცია ეფექტიანობის თვალსაზრისით კურორტის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის განვითარების პროცესში, უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიმკვიდროს. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტი განწირულია უმოქმედობისთვის.

8. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე	შესაძლებლობები	საფრთხე
განვითარების ზოგადი და კონკურენტული ხედვების (მათ შორის საკვანძო გადაწყვეტები) არსებობა	დაგეგმვის წინაპირობებში სტატისტიკური მონაცემების შედარებით სიმწირე;	ცალკეული დარგობრივი მიმართულებების (ტურიზმი) განვითარება	დოკუმენტის მიუღებლობა კერძო და საჯარო ინტერესების შეუთავსებლობის შემთხვევაში
განვითარების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის არსებობა, სადაც თავს იყრის: საყრდენი გეგმა, მიმდინარე გეგმა, რეალიზაციის გეგმა	უძრავი ქონების შეფასებითი კომპონენტის არ არსებობა	საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა	დოკუმენტის გამოუყენებლობა

9. ინდიკატორები

გრგ ეფექტიანობის ინდიკატორები წარმოადგენს მაჩვენებელთა სისტემას, რომლითან დაგეგმილი ხედვის განხორციელების მიმდინარე სურათი დგება და ფასდება. წინამდებარე გრგ ეფექტიანობის ინდიკატორები ასე გამოიყურება:

N	ინდიკატორი	მაჩვენებელი	წყარო
1	მიწის ნაკვეთების შესაბამისობა გრგ-სთან	საკადასტრო რუკა	reestri.gov.ge
2	მშენებლობის ნებართვების შესაბამისობა გრგ-სთან	განცხადებების მშენებლობის ნებართვებზე და შესაბამისი აქტები	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დუშეთის მუნიციპალიტეტი, საქ ტერიტორიული და სამშენებლო ზოდამხედველობის სააგენტო
3	შენობა-ნაგებობების შესაბამისობა გრგ-სთან	განცხადებები ექსპლუატაციაში მიღებაზე და შესაბამისი აქტები	



IV. განხორციელების ეტაპები და რიგითობა

10. ზოგადი პრინციპი

გრგ რეალიზების ზოგადი პრინციპი ეფუძნება საჯარო და კერძო პარტნიორობას და თანადაფინანსების ან/და ურთიერთკომპენსირების ღონისძიებებს. გრგ განხორციელების უმთავრესი მექანიზმია იმ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების სტიმულირება, რომელთაც მთლიანად არასამშენებლო ან სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთებიდან ხედვის ფარგლებში გრგ უნდა მიიღონ სამშენებლოდ შეზღუდული ან მთლიანად სამშენებლო ნაკვეთები (შესაბამისად), ხოლო ის მესაკუთრეების, რომლებიც საპროექტო ტერიტორიაზე ფლობენ სამშენებლო მიწის ნაკვეთებს, რომლებიც არ არიან შეუსაბამო უძრავი ობიექტის სტატუსის მქონე მგგ გადაწყვეტების შესაბამისად, გრგ განხორციელებაში მონაწილეობენ დამოუკიდებლად, გრგ და რეგულირების წესებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ეს განხორციელების სცენარის თანახმად არის ნებაყოფლობით პროცესი და სავალდებულო ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, ასეთი მიწის ნაკვეთი მესაკუთრე გამოთქვამს უძრავი ქონების სამშენებლოდ განვითარების სურვილს.

დასახული სტრატეგიიდან გამომდინარე, დაცულ უნდა იქნეს განხორციელების ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობა:

10.1. განხორციელების ეტაპები

1. საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელების ეტაპები იყოფა მოკლევადიან (საინვესტიოციო ქონების რეალიზება), საშუალო ვადიან (არსებული მიწის ნაკვეთების/განაშენიანების მოწესრიგების საკითხები) და გრძელვადიან (მგგ გადაწყვეტების შესაბამისი ინფრასტრუქტული განახლებები).
2. თითოეულ ეტაპში გამოიყოფა შემდეგი რიგითობა:
 - 2.1. მიწის ნაკვეთების მომზადება გრგ შესაბამისად და საკადასტრო მონაცემებში სათანადო ცვლილებების შეტანა;
 - 2.2. მიწის ნაკვეთებამდე გრგ დადგენილი მისასვლელების მოწყობა;
 - 2.3. მიწის ნაკვეთებზე ძირითადი ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
 - 2.4. ინფრასტრუქტურის დაერთება საერთო სარგებლობის ქსელებზე.

10.2. I ეტაპში დაგეგმილი ღონისძიებებია:

1. ოთხივე მიწის ნაკვეთების საინვესტიოციოდ/საკომპენსაციოდ გამოყოფა;
2. N8 საბაგირო სადგურის მშენებლობა (მიწის ნაკვეთის გამოყოფა არ არის აუცილებელი).

10.3. II ეტაპში დაგეგმილი ღონისძიებებია:

1. N1 და N2 მიწის ნაკვეთზე სასტურმო ინფრასტრუქტურის განვითარება;

10.4. III ეტაპში დაგეგმილი ღონისძიებებია:

2. N3 და N4 მიწის ნაკვეთების განვითარება.

